ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1594427

ნომერი: AR1259471

თარიღი : 20.10.2014

გაცემის თარიღი : 13.11.2014

გაცნობის თარიღი : 14.11.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა გორგასალი , N 52 / ქალაქი თბილისი , რუსთავიდან თბილისში შემოსასვ ლელი გზის მარჯვენა მხარეს;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ვარლამ მდივანი პ/ნ 01023006529
- თბილისი იყალთოს მთა კორ. 1 ბ. 51

ორგანიზაცია:
- შპს გამწვანება კრწანისი კოდი: 204385986

ნომენკლატურა :

- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობები
- მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილება

ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.05.2011 #564 სამშენებლოდმიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანის თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურს 20.10.2014 წ. #AR1259471 განცხადებით მომართა შ.პ.ს „გამწვანება კრწანისი“–ს დირექტორმა ვარლამ მდივანმა და მოითხოვა სამსახურის 03.05.2011 #564 მიწის ნაკვეთის სამშენებლოდ გამოყენების პირობებში ცვლილების შეტანა საპროექტო მიწის ნაკვეთის ფართობისა და საკადასტრო კოდის შეცვლასთანდა ასევე საქართველოს მთავრობის 2009 წლის 18 თებერვლის #104

განკარგულების საფუძველზე დადგენილი შეზღუდვის მოხსნასთან დაკავშირებით.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96-ე მუხლის თანახმად, სამსახურმა გამოიკვლიასაქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის სსიპ – თბილისის არქიტექტურის სამსახურის მიერ03.05.2011 წ. ქ. თბილისში, გორგასლის ქ. #52–ში მდებარე მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: #01.18.10.003.005; ფართობი: 46590 კვ.მ.), სამეურნეო დანიშნულების ობიექტის (სათბური) ასაშენებლად დამტკიცებული იქნა #564 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობები. განმცხადებლის მიერ სამსახურშიწარმოდგენილი იქნა ახალი ამონაწერი და საკადასტრო გეგმა საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული#01.18.10.003.049 ფართობი – 43644 კვ.მ), რომლის თანახმადაც საკადასტრო ერთეულს შეცვლილი აქვს მიწის ნაკვეთის ფართობი, და მიწის ნაკვეთის კონფიგურაცია. სამსახურში წარმოდგენილი იქნა, მუნიციპალიტეტის განვითარების ფონდიდან „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის №104 საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი თბილისი–რუსთავის მონაკვეთის საპროექტო ბუფერის ახალი არეალი, საიდანაც დგინდება, რომ მითითებულ ტერიტორიაზე აღარ ვრცელდება აღნიშნული შეზღუდვა (იხ. დანართი).

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების თანახმად, სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში უნდა აისახოს კანონმდებლობით, მათ შორის ამ დადგენილებით განსაზღვრული ის სავალდებულო მოთხოვნები, რომლებიც აუცილებელია მშენებლობის განხორციელების დოკუმენტების პროექტების შემუშავებისათვის.

ვინაიდან, #01.18.10.003.049 საკადასტრო ერთეულზე ვრცელდება სარეკრეაციო ზონა 2 (რზ–2) და შეცვლილია მიწის ნაკვეთის საკადასტრო კოდი და ფართობი აღნშნული ობიექტების განთავსება საჭიროებდაახალ სპეციალურ ზონალურ შეთანხმებას. საკითხი განიხილა ” ქ. თბილისის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების საკითხთა კომისიაზე ” რომლის წევრთა დადებითიდასკვნის საფუძველზე მომზადდა ქ. თილისის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება და გაიცა სამეურნეო დანიშნულების ობიექტის (სათბურები) ასაშენებლად. კანონმდებლობის მოთხოვნებიდან გამომდინარე, საკადასტრო ერთეულის ცვლილება უნდა აისახოს სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დამკვეთის მოთხოვნის დაკმაყოფილება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის და “მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის №57 დადგენილების შესაბამისად,

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57-ე დადგენილების და საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის შესაბამისად

ვბრძანებ

1. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.05.2011 #564 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებს დაემატოს ახალი საკადასტრო გეგმა და ამონაწერი საჯარო რეესტრიდან (საკადასტრო ერთეული#01.18.10.003.049, ფართობი – 43644 კვ.მ);
2. შევიდეს ცვლილება ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.05.2011 #564 გადაწყვეტილებით დამკიცებულ სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის ფართობი მიეთითოს - 43644 კვ.მ. (განაშენიანების რეგულირების ხაზებით), საკადასტროკოდი დაფიქსირდეს - #01.18.10.003.049;
3. ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.05.2011 #564 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებში და ახალი არეალის გათვალისწინებით მოიხსნას „საქართველოს საავტომობილო გზების რიგ მონაკვეთებზე რეკონსტრუქცია-მოდერნიზაციის (მშენებლობის) სამუშაოების განხორციელების მიზნით ზოგიერთ გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ“ 2009 წლის 18 თებერვლის №104 საქართველოს მთავრობის განკარგულებით დადგენილი შეზღუდვა.
4. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქალაქ თბილისის მერიის სსიპ – ქალაქ თბილისის არქიტექტურის სამსახურის 03.05.2011 #564 სამშენებლოდ მიწის ნაკვეთის გამოყენების პირობებთან ერთად;
5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მის: შარტავას ქუჩა #7) მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.